საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№2377 2019 წლის 21 ნოემბერი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 მარტის №699 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 მარტის №699 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების სათაური და ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის დაფუძნების შესახებ

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ უზრუნველყოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – საქართველოს

სამედიცინო ჰოლდინგის (შემდგომში – საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი) დაფუძნება.

2. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ უზრუნველყოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის წესდების პროექტისა და ხელმძღვანელი პირ(ებ)ის კანდიდატურ(ებ)ის წარდგენა.

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ უზრუნველყოს საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის დაფუძნებასა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

4. საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის დაფუძნების შემდგომ მისი დამფუძნებლის ყველა უფლებამოსილება განახორციელოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ.“.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**